პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

№ 216 (5317) | სამშაბათი, 20 სექტემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის დეპეშა

თბილისი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ჩარკვიანს
საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ბაქრაძეს

ბაქო

„აზნავთმოპოვება“ — ამხ. პოპოვინს

საქნავთის მოწინავე სტახანოველებსა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებს ვულოცავ ნორიო-მარტყოფის რაიონში ნავთის ახალი საბადოს აღმოჩენას, რაზედაც ასე დიდად ზრუნავდა და ზრუნავს ამხანაგი ბერია.

გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ საქნავთის მუშაკები არ შეჩერდებიან მიღწეულ წარმატებებზე, შესძლებენ მუშაობის გაშლას გამოკვლეულ რაიონთა სამრეწველო დამუშავებისათვის.

მჯერა, რომ საქნავთის მუშაკთა მთელი კოლექტივის, „აზნავთმოპოვების“ გაერთიანების ხელმძღვანელობის ბოლშევიკური მობილიზაციით და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ჩვენი სამშობლო წელსვე მიიღებს ახალი რაიონებიდან სამრეწველო ნავთს.

ლ. მ. კაგანოვიჩი

# მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი ძალა

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის XII თავი და დასკვნა. დამთავრებულია შესანიშნავი მეცნიერული შრომა, პარტიას მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, მისმა მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა ხელში ჩაუდო კოლოსალური ძალის თეორიული იარაღი. ამ მეცნიერულ შრომაში მოკლედ და მკაფიოდ არის ალბეჭდილი ლენინ-სტალინის პარტიის მთელი მრავალწლიანი სახელოვანი ისტორიული გზა და გამოცდილება.

ჩვენი პარტია მუშათა კლასის სათავეში უმძიმეს პირობებში ათეულ წლობით იბრძოდა კაპიტალისტური წყობილების დამხობისათვის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისათვის, სოციალიზმისათვის. **იბრძოდა და გაიმარჯვა!** დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე გაიმარჯვა სოციალიზმმა, და უკვე 1936 წელს სტალინურმა კონსტიტუციამ „განამტკიცა ის მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, რომ სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და კომუნისტურ საზოგადოებაზე თანდათანობითი გადასვლის ხანაში, საზოგადოებაზე, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმძღვანელო საწყისი უნდა იყოს კომუნისტური პრინციპი: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი მოთხოვნილების მიხედვით“.

1935-37 წლებისადმი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დასამთავრებლად და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის გასატარებლად ბოლშევიკური პარტიის მიერ წარმოებული ბრძოლის წლებისადმი მიძღვნილია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის XII თავი, რომელიც დღეს ქვეყნდება. ეს არის თავი ვადამდე შესრულებული მეორე სტალინური ხუთწლედის სულ ამ ახლო ხანში წარ- [illegible]

[illegible]

ხოსლოვაკიისადმი — ყოველივე ეს შელახვაა „დემოკრატიულ“ სახელმწიფოთა კაპიტალისტური ინტერესებისა, რომელთა ხარჯზედაც აგრესორებს სურთ გადაანაწილონ მსოფლიო, ხელთ იგდონ გავლენის სფეროები.

ნელნელა, როგორღაც „შეუმჩნევლად“, შესტოპეს ხალხებმა **მეორე იმპერიალისტურ ომში,** რომელმაც თავის ორბიტში ჩაითრია დედამიწის ნახევარ მილიარდზე მეტი მოსახლეობა.

ომი, რომელიც „შეუმჩნევლად“ მიეპარა ხალხებს, არ შეიძლება უაღრესად სერიოზული საფრთხე არ იყოს სსრ კავშირისთვისაც. აი რატომ არის, რომ ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც განუხრელად ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, მიიღო ყველა საჭირო ზომა ჩვენი საზღვრების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, წითელი არმიისა და წითელი ფლოტის საბრძოლო მზადყოფნისათვის.

სოციალიზმის წარმატებანი სსრ კავშირში იწვევდნენ უფროდაუფრო მეტ გაბოროტებას ფაშიზმის საზიზღართაგან უსაზიზღრესი აგენტების — ბუხარინელ-ტროცკისტ ბანდიტებისას, ადამიანთა მოდგმის ამ ნაძირალებისას, რომლებიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ დღეებიდანვე შეთქმულნი იყვნენ ლენინის წინააღმდეგ, პარტიის წინააღმდეგ, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ და ყველა წლების განმავლობაში პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აწყობდნენ შეთქმულებებს, პროვოკაციებს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ავაზაკური მკვლელობის მზადებას, მავნებლობას, დივერსიებს. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის XII თავში ლაპარაკია ბუხარინელ-ტროცკისტ ჯაშუშთა, მავნებელთა, სამშობლოს მოღალატეთა ნაშთების ლიკვიდაციაზე.

„ეს თეთრგვარდიელი პიგმეები, [illegible]

[illegible]

„მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აძლევს პარტიას შესაძლებლობას გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, წინასწარ განჭვრიტოს მოვლენათა მსვლელობა და გამოიცნოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში.

მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც დაუფლებულია მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, შეუძლია იმოძრაოს წინ მტკიცე რწმენით და წაიყვანოს წინ მუშათა კლასი.

„დასკვნა“ სტალინური სიღრმითა და სიბრძნით განმარტავს, თუ რას უნდა ვგულისხმობდეთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში, გვიჩვენებს, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორია არის მეცნიერება საზოგადოების განვითარების შესახებ, მეცნიერება მუშათა მოძრაობის შესახებ, მეცნიერება პროლეტარული რევოლუციის შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ. მარქსისტულ-ლენინური თეორია, როგორც მეცნიერება, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ერთ ადგილზე, — იგი ვითარდება და სრულყოფილი ხდება, მდიდრდება რა ახალი გამოცდილებით. „დასკვნა“ გამანადგურებლად ურტყამს არასწორ, დოგმატურ, მედავითნურ მიდგომას მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი, მედავითნეებს, რომლებიც ფიქრობენ რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება — „ნიშნავს კეთილსინდისიერად დაიზეპირო ცალკეული დასკვნები და დებულებანი, რომლებსაც შეიცავენ მარქს-ენგელს-ლენინის ნაწარმოებები, ისწავლო მათი დროულად ციტირება და თვითდამშვიდებას მიეცე ამით, იმ იმედით, რომ დაზეპირებული დასკვნები და დებულებები გამოგადგება ყოველი ვითარებისათვის, ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის“.

„დასკვნა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება სრულებითაც არ ნიშნავს — დაიზეპირო ყველა მისი ფორმულა და დასკვნა და ებღაუჭებოდე ამ ფორმულებისა და დასკვნების ყოველ ასოს. მარქსისტულ-ლენინურ თეორიას რომ დაეუფლო, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ისწავლო მისი ასოს და დედაარსის გარჩევა.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება ნიშნავს — შეითვისო ამ თეორიის **არსი** და ისწავლო ამ თეორიის გამოყენება რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა პირობებში.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება ნიშნავს — გქონდეს უნარი გაამდიდრო ეს თეორია რევოლუციური მოძრაობის ახალი გამოცდილებით, გქონდეს უნარი გაამდიდრო იგი ახალი დებულებებითა და დასკვნებით, გქონდეს უნარი **განავითარო იგი და წასწიო წინ,** არ ჩერდებოდე თეორიის წინაშე, რათა თეორიის არსზე დაყრდნობით, შესცვალო ზოგიერთი მისი დებულებები და დასკვნები, რომლებიც უკვე მოძველებული გახდნენ, ახალი დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც ახალ ისტორიულ ვითარებას შეეფერებიან.

მარქსისტულ-ლენინური თეორია არის არა დოგმა, არამედ ხელმძღვანელობა მოქმედებისათვის“.

ლენინმა და სტალინმა დაიცვეს მარქსისტულ-ლენინური თეორია მუშათა კლასის ყველა მტრისაგან და განავითარეს ეს **მეცნიერება, გაამდიდრეს** იგი ახალი გამოცდილებით, **შორს წასწიეს იგი წინ.** საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიას მოჰყავს ლენინის მიერ მარქსისტული თეორიის განვითარების უაღრესად მკაფიო მაგალითები: 1. ლენინის მიერ 1917 წლის აპრილში, ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის პერიოდში, საბჭოების რესპუბლიკის ორგანიზაციის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმის, ლოზუნგის წამოყენება. 2. ლენინის დასკვნა ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ლენინს წინ მიჰყავდა მარქსისტული თეორია, ამდიდრებდა რა მას ახალი გამოცდილებით. ბოლშევიკების პარტია, მისი ბელადები ლენინი და სტალინი მუდამ იდგნენ არა დოგმატური, არამედ **შემოქმედებითი მარქსიზმის** პოზიციებზე.

„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ენგელსის სიკვდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის შემდეგ — სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები — იყვნენ ერთად-ერთი მარქსისტები, რომლებმაც წინ წასწიეს მარქსისტული თეორია და გაამდიდრეს იგი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში.

და სწორედ იმიტომ, რომ ლენინმა და ლენინელებმა წინ წასწიეს მარქსისტული თეორია, ლენინიზმი წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, მარქსიზმს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმს, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე სოციალიზმის გამარჯვების ეპოქის მარქსიზმს“.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისაკენ მოუწოდებს ბოლშევიკების პარტია ყველა თავის წევრს, ვინაიდან ეს თეორია არის უძლიერესი იარაღი მუშათა კლასის ხელში, უძლიერესი იარაღი კომუნიზმისათვის ბრძოლებში.

თეორიული აზრის დაუშრეტელი სიმდიდრეა თავმოყრილი „დასკვნის“ შემაჯამებელ დებულებებში. წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან (ესერებთან, მენშევიკებთან, ანარქისტებთან, ნაციონალისტებთან) ბრძოლის და მათი განადგურების ანალიზი, პარტიის შიგნით ყოველგვარი ოპორტუნისტული ჯგუფების („ეკონომისტები“, მენშევიკები, ტროცკისტები, ბუხარინელები, ნაციონალ-უკლონისტები) წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი განადგურების ანალიზი, ჯგუფებისა, რომლებიც არსებითად მენშევიზმის აგენტებს, წაბლარებს წარმოადგენდნენ, — ადასტურებს ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ, მენშევიზმის ყოველგვარი წაბლარების წინააღმდეგ, კაპიტულანტებისა და გამცემლების წინააღმდეგ პარტიის დაუნდობელი ბრძოლის მთელ ისტორიულ აუცილებლობასა და კანონზომიერებას.

„შემთხვევითად არ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ტროცკისტებმა, ბუხარინელებმა, ნაციონალ-უკლონისტებმა, იბრძოდნენ რა ლენინის წინააღმდეგ, იბრძოდნენ რა პარტიის წინააღმდეგ, დაამთავრეს იმითვე, რითაც დაამთავრეს მენშევიკებისა და ესერების პარტიებმა, — ისინი გახდნენ ფაშისტურ დაზვერვათა აგენტები, გახდნენ ჯაშუშები, მავნებლები, მკვლელები, დივერსანტები, სამშობლოს მოღალატეები“. (საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია).

„დასკვნა“ პარტიის ისტორიის ერთერთ გაკვეთილად მიგვითითებს კრიტიკასა და თვითკრიტიკაზე, როგორც პარტიული კადრებისა და მასების აღზრდის მეთოდზე. ამაშია ლენინ-სტალინის პარტიის უძლეველობის ერთერთი პირობა.

„დასკვნა“ მთავრდება ბერძნული მითოლოგიის შესანიშნავი გმირის — ანთეოსის მკაფიო მხატვრული სახით.

„ვფიქრობ, რომ ბოლშევიკები მოგვაგონებენ ბერძნული მითოლოგიის გმირს, ანთეოსს. ისინიც, ისევე, როგორც ანთეოსი, ძლიერნი არიან იმით, რომ კავშირი აქვთ თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი შობეს, გამოჰკვებეს და გამოზარდეს. და სანამ მათ კავშირი აქვთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველი დარჩნენ.

ამაშია გასაღები ბოლშევიკური ხელმძღვანელობის უძლეველობისა.“ **(სტალინი).**

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, მოწონებული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, უძვირფასესი განძია ლენინიზმის საგანძურში, მოწინავე თეორიაში, რომელიც მსოფლიოს გარდაქმნას ახდენს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიას შეისწავლიან ჩვენს ქვეყანაში პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა მილიონები. მას შეისწავლიან ჩვენი ძმები და ამხანაგები საზღვარგარეთ, მისი მიხედვით ისწავლიან ბრძოლასა და გამარჯვებას, ისევე როგორც იბრძოდა და გაიმარჯვა ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ.

**„პრავდის“ მოწინავე, 19/IX.**



ბაქოელი კომისრები (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხ. შ. აზიზბეკოვი, ა. ჯაფარიძე, ს. შაუმიანი და ვ. ფიოლეტოვი.

ფოტო სტეფანოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

# ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის 20 წლისთავი

20 წლის წინათ, 1918 წლის 20 სექტემბერს ინგლისელი ინტერვენტებისა და მათი ლაქიების — მენშევიკებისა და ესერების ბინძური ხელით დაიღუპა ბაქოს 26 კომისარი. ხალხის უბოროტესმა მტრებმა მხეცურად გამოასალმეს სიცოცხლეს ბაქოს გმირული პროლეტარიატის ერთგული შვილები — ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ვ. ფიოლეტოვი, მ. აზიზბეკოვი და სხვ.

ეს საზიზღარი დანაშაული ჩადენილ იქნა მაშინ, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა იმყოფებოდა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში, როდესაც ქვეყნის შიგნით ანტისაბჭოთა ძალები, კაპიტალისტური ქვეყნების ინტერვენტებთან ერთად, მოსვენებას არ აძლევდნენ საბჭოთა რესპუბლიკას, ცდილობდნენ სისხლში ჩაეხრჩოთ მუშათა კლასის დიქტატურა და აღედგინათ მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლება.

ეს საზიზღარი დანაშაული ჩადენილ იქნა მაშინ, როდესაც განსაკუთრებით მძიმე და რთულ პირობებში იმყოფებოდა ბაქოს პროლეტარიატი, როდესაც ამიერ-კავკასიაში ხელისუფლების სათავეში მოექცნენ კონტრრევოლუციური ნაციონალისტური პარტიები — მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატისტები, რომლებმაც ამიერ-კავკასია ჯერ გერმანია-თურქეთის იმპერიალისტთა სათარეშო ასპარეზად გადააქციეს, ხოლო შემდეგ ინგლისის ინტერვენტებისა.

რა პირობებში დაიღუპნენ ბაქოს გმირული კომისრები, როგორია ამ სისხლიანი დანაშაულის ისტორია?

ოქტომბრის პროლეტარული რევოლუციის დღეებში ბაქოს პროლეტარიატს, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, მაღლა ეჭირა სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის დროშა აღმოსავლეთში. 1918 წლის მარტში ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ძალებმა გაანადგურეს კონტრრევოლუციური პარტიების ძალები ბაქოში და მთელი ძალაუფლება თავის ხელში აიღეს. შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭო ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის სტეფანე შაუმიანის მეთაურობით. ბაქოს საბჭოთა ხელისუფლებამ, სძლევდა რა ბურჟუაზიის წინააღმდეგობას, გაატარა მთელი რიგი სოციალისტური ღონისძიებანი — მოახდინა ნავთის მრეწველობისა და კასპიის სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია, ამზადებდა დიდი სახლების ნაციონალიზაციას და სხვ. ბაქოს საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია საბჭოთა რუსეთისათვის ნავთის პროდუქტების მიწოდების ათჯერ გადიდებას, ხოლო თავის მხრით საბჭოთა რუსეთი ბაქოს პროლეტარიატს ეხმარებოდა იარაღითა და სურსათსანოვაგით.

1918 წლის ზაფხულზე სტალინი ცარიცინიდან, სადაც ის ამ დროს იმყოფებოდა, ულოცავს შაუმიანს პირველ წარმატებებს და აძლევს მითითებებს შემდგომი მოქმედებისათვის. ლენინისა და სტალინის ყურადღებითა და მზრუნველობით აღფრთოვანებული ბაქოს ბოლშევიკები შეუნელებლად იბრძოდნენ რევოლუციის ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ.

ბაქოში მწვავდებოდა ბრძოლა. მტრული ძალები ყოველი მხრიდან გარს ერტყნენ ბაქოს. ამავე დროს ინგლისის დაზვერვის პირდაპირი აგენტები — ესერები და მენშევიკები, ნაციონალისტ ბანდებთან ერთად, დამარღვეველ მავნებლურ-დივერსიულ მუშაობას აწარმოებდნენ შიგნით — თვით ბაქოში. ისინი ვანზრახ ჰქმნიდნენ სასურსათო სიძნელეებს, ჰქმნიდნენ პანიკას, „საკუთარი ძალებით ვერ გავიმარჯვებთო“, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ მუშებისათვის, რომ თითქოს ინგლისელთა მოსვლა იხსნიდა ბაქოს თურქებისაგან და გააუმჯობესებდა სასურსათო მდგომარეობას.

შექმნილ ვითარებაში ბაქოს მუშათა ერთმა ნაწილმა მერყეობა იწყო. 25 ივლისს ბაქოს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე მენშევიკებმა და ესერებმა ხმის უმნიშვნელო უმრავლესობით მოახერხეს გაეყვანათ რეზოლუცია ინგლისელთა მოწვევის შესახებ. გამცემლები თავხედურად მოუწოდებდნენ ბოლშევიკებს, რომ მათაც ქედი მოეხარათ ინგლისის იმპერიალისტთა წინაშე. ბოლშევიკთა სახელით შაუმიანმა ზიზღით უარჰყო ჯაშუშთა და მავნებელთა ეს წინადადება. ლენინმა სავსებით მოიწონა ბაქოს ბოლშევიკთა რევოლუციური ხაზი.

ამის შემდეგ ბაქოში შექმნილმა კონტრრევოლუციურმა ხელისუფლებამ, ინგლისის იმპერიალისტთა პირდაპირი მითითებებით და უშუალო მონაწილეობით შეთითხნა სახელდახელო ბრალდებები 26 კომისრის წინააღმდეგ. ისინი დააპატიმრეს და 1918 წლის 20 სექტემბერს ლამით ქურდულად, მხეცურად გამოასალმეს სიცოცხლეს ახჩა-კუიმის ახლოს.

ბაქოს კომისრები, ხალხის ერთგული შვილები, კვდებოდნენ შეძახილით — „გაუმარჯოს კომუნიზმს“. ბაქოს და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებმა, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გაიმარჯვეს, ააშენეს სოციალიზმი, ააშენეს სამური და ბედნიერი ცხოვრება, განახორციელეს ის, რისთვისაც იბრძოდნენ და გმირულად დაიხოცნენ ბაქოს კომისრები.

# თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, 19 სექტემბერს, გრიბოედოვის სახელობის თეატრის დარბაზში გაიხსნა თბილისის საბჭოს პლენუმი, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა ქ. თბილისის 1938 წლის ბიუჯეტი და აგრეთვე 1937 წლის ბიუჯეტის შესრულება.

ბიუჯეტის შესახებ პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა თბილისის საბჭოს საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. **მურჯიკნელი.** მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1937 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება უდრის 160.418.000 მანეთს, ხოლო სახარჯო ნაწილისა — 159.504.400 მანეთს.



ამხ. ი. კოჭლამაზაშვილი
თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

1938 წლის ბიუჯეტი შეადგენს 178.372.400 მანეთს. წლევანდელი ბიუჯეტი, 1937 წლის ბიუჯეტის ფაქტიურ შესრულებას აღემატება 26.797.600 მანეთით, ანუ 17,7 პროცენტით. თბილისის წლევანდელი ბიუჯეტი სარკესავით ასახავს მოსახლეობის კულტურულ-მატერიალურ კეთილდღეობას. ასე, მაგალითად, ხელფასის ფონდი ქალაქის წლევანდელი ბიუჯეტით გაზრდილია 18,8 პროცენტით, სახალხო განათლების ხარჯები — 15,5 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები — 22 პროცენტით და ა. შ. საბინაო მშენებლობისა და საცხოვრებელი სახლების სარემონტოდ 1938 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 19.113.000 მანეთის დახარჯვა, ნაცვლად შარშანდელი ბიუჯეტით გათვალისწინებული 10.282.100 მანეთისა. კაპიტალური მშენებლობისათვის წელს სულ გათვალისწინებულია 46.282.800 მანეთი, ანუ 3.940.600 მანეთით მეტი, ვიდრე შარშან. გარდა ამ თანხისა, კაპიტალურ მშენებლობაზე წელს გათვალისწინებულია ლიმიტგარეშე თანხაც 30.600.100 მანეთის რაოდენობით. სულ, ამგვარად, კაპიტალური დანახარჯების თანხა წელს 76.882.900 მანეთამდე მიაღწევს.

ბიუჯეტის შესახებ გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. **გალუსტოვმა** (კიროვის რაისაბჭოს თავმჯდომარე), **გონგაძემ** (ლენრაიონის საბჭოს თავმჯდომარე), **ტიკაძემ** (26 კომისრის სახელობის რაიფინგანი), **გაგნიძემ** (თბილისის საბჭოს დეპუტატი), პროფ. **შუშანიამ, ჩაჩუამ** (ორჯონიკიძის რაიფინგანი), **ტორომანოვამ** (თბილისის საბჭოს დეპუტატი), პროფ. **ა. დიდებულიძემ** და **კუჯიაშვილმა** (თბილისის საბჭო).

პლენუმმა ერთხმად დაამტკიცა 1937 წლის ბიუჯეტის შესრულება და 1938 წლის ბიუჯეტის პროექტი.

შემდეგ პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმმა თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებისაგან გაანთავისუფლა ამხ. **მიხ. გვიშიანი,** მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. **იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი.**

პლენუმს ესწრებოდნენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხანაგი **კანდიდ ჩარკვიანი,** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **ს. იშხანოვი** და საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გ. სტურუა.**

პლენუმს თავმჯდომარეობდა თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ლ. გორგიძე.**

# სსრ კავშირის ორდენების ჩაბარება

17 სექტემბერს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. ი. პეტროვსკიმ პრეზიდიუმის მთელი რიგი წევრების თანადასწრებით ჩააბარა ორდენები დაჯილდოებულთა ჯგუფს.

ორდენი ეძლევა ამხ. ა. ფ. ბლიდმანს, რომელიც დაჯილდოებულია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის საქმეში უდიდესი ინიციატივის გამოჩენისათვის და დატვირთვის სამუშაოებში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

ორდენებს იღებენ ამხ. მიხაილოვი და ჩივილევი, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან ჩრდილოეთის კიდურის ათვისების საქმეში საუცხოვოდ ჩატარებულ მუშაობისათვის და განსაკუთრებით კი ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის მომზადებისა და მომსახურების უზრუნველყოფისათვის.

ორდენები ჩაბარდათ აგრეთვე მუშურ-გლეხური მილიციის 20 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულთ ამხ. დემენტიევსა და სხვებს.

გ. ი. პეტროვსკიმ გულითადად მოულოცა დაჯილდოებულებს უმაღლესი საჩუქრის მიღება და უსურვა მათ შემდგომი წარმატებანი მუშაობაში. (საკდესი).

21 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, „კომუნისტის“ რედაქციაში (რუსთაველის პროსპ. № 16) მოწვეულია

## პარტიული აქტივის თათბირი

**გაზეთში პარტიული ცხოვრების გაშუქების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხებზე.**

თათბირზე მოწვეული არიან საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მდივნები, კულტპროპგანყოფილებათა გამგეები, რაიკომების ინსტრუქტორები, პარტკაბინეტების გამგეები და მსხვილ საწარმო-დაწესებულებათა პარტკომების მდივნები და პარტორგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით. **მოკლე კურსი.** მოწონებულია საკ. კ. პ.(ბ) ც. კ-ის მიერ. 1938 წელი.

(გაგრძელება*)

[illegible]

... ვთქვათ: რანაირიცაა ადამიანთა ცხოვრება, — იმნაირივეა მათი აზრები.

ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების განვითარების ისტორია არის, უწინარეს ყოვლისა, ისტორია წარმოების განვითარებისა, ისტორია წარმოების წესებისა, რომლებიც სცვლიან ერთიმეორეს საუკუნეთა მანძილზე, ისტორია საწარმოო ძალთა და ადამიანების საწარმოო ურთიერთობათა განვითარებისა.

მაშასადამე, საზოგადოებრივი განვითარების ისტორია ამასთან ერთად არის ისტორია თვით მატერიალურ დოვლათთა მწარმოებლებისა, ისტორია მშრომელი მასებისა, რომლებიც საწარმოო პროცესის ძირითად ძალებს წარმოადგენენ და ანხორციელებენ საზოგადოების არსებობისათვის აუცილებლად საჭირო მატერიალურ დოვლათთა წარმოებას.

*) თავი IV. დასაწყისი იხ. „კომუნისტის“ 215 ნომერში.

[illegible]

... დგენს სოციალური რევოლუციის ეკონომიურ საფუძველს, რევოლუციისა, რომლის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაარღვიოს ახლანდელი საწარმოო ურთიერთობანი და შეჰქმნას ახალი, საწარმოო ძალთა ხასიათის შესაბამისი ურთიერთობანი.

და პირიქით, საწარმოო ძალების ხასიათისადმი საწარმოო ურთიერთობათა სრული შესაბამისობის მაგალითს წარმოადგენს სოციალისტური სახალხო მეურნეობა სსრ კავშირში, სადაც საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება სავსებით შეესაბამება წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათს და სადაც ამის გამო არ არის არც ეკონომიური კრიზისები, არც საწარმოო ძალთა დაშლა.

მაშასადამე, საწარმოო ძალები წარმოადგენენ წარმოების არა მარტო ყველაზე მოძრავ და რევოლუციურ ელემენტს. ისინი ამასთან ერთად წარმოადგენენ წარმოების [illegible]

... არის ექსპლუატაცია, არ არიან კლასები.

მონათმფლობელური წყობილების დროს საწარმოო ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს მონათმფლობელის საკუთრება საწარმოო საშუალებებზე, აგრეთვე წარმოების მუშაკზე — მონაზე, რომელიც მონათმფლობელს შეუძლია გაჰყიდოს, იყიდოს, მოჰკლას, როგორც პირუტყვი. ასეთი საწარმოო ურთიერთობანი ძირითადად შეესაბამებიან საწარმოო ძალთა მდგომარეობას ამ პერიოდში. ქვის იარაღების ნაცვლად ახლა ადამიანებს თავის განკარგულებაში ჰქონდათ ლითონის იარაღები, მათხოვრული და პრიმიტიული სამონადირეო მეურნეობის ნაცვლად, რომელმაც არც მეჯოგეობა იცოდა და არც მიწათმოქმედება, გაჩნდნენ მეჯოგეობა, მიწათმოქმედება, ხელოსნობა, წარმოების ამ დარგებს შორის შრომის განაწილება, გაჩნდა ცალკეულ პირებსა და საზოგადოებებს შორის პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობა, ადამიანთა მცირე რიცხვის ხელში სიმდიდრის დაგროვების შესაძლებლობა, უმცირესობის ხელში საწარმოო საშუალებათა ნამდვილად დაგროვება, უმცირესობის მიერ უმრავლესობის დამორჩილებისა და მათი მონებად გადაქცევის შესაძლებლობა. აქ უკვე აღარ არის საზოგადოების ყველა წევრთა საერთო და თავისუფალი შრომა წარმოების პროცესში, — აქ გაბატონებულია იძულებითი შრომა მონებისა, რომლებსაც ექსპლუატაციას უწევენ არამშრომელი მონათმფლობელნი. ამიტომ არ არსებობს საერთო საკუთრებაც საწარმოო საშუალებებზე, ისევე როგორც წარმოების პროდუქტებზე. მას სცვლის კერძო საკუთრება. აქ მონათმფლობელი პირველი და ძირითადი სრულფასიანი მესაკუთრეა.

მდიდრები და ღარიბები, ექსპლუატატორები და ექსპლუატირებულნი, სრულუფლებიანნი და უუფლებონი, სასტიკი კლასობრივი ბრძოლა მათ შორის — ასეთია მონათმფლობელური წყობილების სურათი.

ფეოდალური წყობილების დროს საწარმოო ურთიერთობათა საფუძველს შეადგენს ფეოდალის საკუთრება საწარმოო საშუალებებზე და არასრული საკუთრება წარმოების მუშაკზე, — ყმაზე, რომლის მოკვლა ფეოდალს უკვე არ შეუძლია, მაგრამ რომლის გაყიდვა და ყიდვა მას შეუძლია. ფეოდალურ საკუთრებასთან ერთად არსებობს გლეხისა და ხელოსნის ერთპიროვნული საკუთრება საწარმოო იარაღებზე და თავის კერძო მეურნეობაზე, დამყარებული პირად შრომაზე. ასეთი საწარმოო ურთიერთობანი ძირითადად შეესაბამებიან ამ პერიოდის საწარმოო ძალთა მდგომარეობას. რკინის გამოდნობისა და დამუშავების შემდგომი გაუმჯობესება; რკინის გუთნისა და საფეიქრო დაზგის გავრცელება; მიწათმოქმედების, მებოსტნეობის, მევენახეობის, ერბოკარაქის წარმოების შემდგომი განვითარება; სახელოსნოებთან ერთად მანუფაქტურულ საწარმოთა გაჩენა, — ასეთია საწარმოო ძალთა მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშნები.

ახალი საწარმოო ძალები მოითხოვენ, რათა მუშაკს ჰქონდეს რაიმე ინიციატივა წარმოებაში და შრომისადმი მიდრეკილება, შრომით დაინტერესება. ამიტომ ფეოდალი სტოვებს მონას, როგორც შრომით არა დაინტერესებულ და სრულიად უინიციატივო მუშაკს, და ამჯობინებს საქმე იქონიოს ყმასთან, რომელსაც გააჩნია თავისი მეურნეობა, თავისი საწარმოო იარაღები და რომელსაც აქვს ერთგვარი დაინტერესება შრომით, რაც საჭიროა იმისთვის, რომ მან დაამუშაოს მიწა და ფეოდალს ნატურით აძლიოს გადასახადი თავისი მოსავლიდან.

კერძო საკუთრებას აქ შემდგომი განვითარება ეძლევა. ექსპლუატაცია თითქმის ისეთივე სასტიკია, როგორც მონობის დროს, — იგი მხოლოდ რამდენადმე შერბილებულია. კლასობრივი ბრძოლა ექსპლუატატორებსა და ექსპლუატირებულებს შორის შეადგენს ფეოდალური წყობილების ძირითად ნიშანს.

კაპიტალისტური წყობილების დროს საწარმოო ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს კაპიტალისტური საკუთრება საწარმოო საშუალებებზე, როცა არ არსებობს საკუთრება წარმოების მუშაკებზე, — დაქირავებულ მუშებზე, რომელთა არც მოკვლა, არც გაყიდვა კაპიტალისტს არ შეუძლია, ვინაიდან ისინი თავისუფალი არიან პირადი დამოკიდებულებისაგან, მაგრამ რომელნიც მოკლებულნი არიან საწარმოო საშუალებებს და, შიმშილით რომ არ ამოწყდნენ, იძულებული ხდებიან მიჰყიდონ თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტს და ექსპლუატაციის უღელი ატარონ კისერზე. საწარმოო საშუალებათა კაპიტალისტურ საკუთრებასთან ერთად არსებობს და პირველ ხანებში ფართოდ არის გავრცელებული ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული გლეხისა და ხელოსნის კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე, დამყარებული პირად შრომაზე. სახელოსნოთა და მანუფაქტურულ საწარმოთა ნაცვლად გაჩნდა მანქანებით შეიარაღებული უზარმაზარი ფაბრიკები და ქარხნები. თავად-აზნაურული მამულთა ნაცვლად, რომლებსაც პრიმიტიული გლეხური საწარმოო იარაღებით ამუშავებდნენ, გაჩნდა მსხვილი კაპიტალისტური ეკონომიები, რომლებსაც უძღვებიან აგროტექნიკის საფუძველზე და რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მანქანებით არიან აღჭურვილნი.

ახალი საწარმოო ძალები მოითხოვენ, რათა წარმოების მუშაკები უფრო კულტურულნი და მოსაზრებულნი იყვნენ, ვიდრე დაბეჩავებული და გონება-ბნელი ყმები, რათა მათ შეეძლოთ მანქანის გაგება და მისი წესიერად ხმარება. ამიტომ კაპიტალისტები ამჯობინებენ საქმე იქონიონ ბატონყმური ბორკილებისაგან თავისუფალ, დაქირავებულ მუშებთან, რომელნიც საკმაოდ კულტურულნი უნდა იყვნენ იმისათვის, რომ მანქანები წესიერად იხმარონ.

მაგრამ, კოლოსალურ ფარგლებამდე განავითარა რა საწარმოო ძალები, კაპიტალიზმი გაიხლართა მისთვის გადაუჭრელ წინააღმდეგობებში. აწარმოებს რა სულ უფრო-დაუფრო მეტ საქონელს და ამცირებს რა საქონლის ფასებს, კაპიტალიზმი ამწვავებს კონკურენციას, აჩანაგებს წვრილ და საშუალო კერძო მესაკუთრეთა მასას, ჰხდის მათ პროლეტარებად და სცემს მათს მყიდველობითს უნარს, რის გამო დამზადებული საქონლის გასაღება შეუძლებელი ხდება. აფართოებს რა წარმოებას და უზარმაზარ ფაბრიკებსა და ქარხნებში თავს უყრის რა მილიონობით მუშებს, კაპიტალიზმი წარმოების პროცესს საზოგადოებრივ ხასიათს აძლევს და ამით ძირს უთხრის თავის საკუთარ ბაზისს, რადგან წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი მოითხოვს საზოგადოებრივ საკუთრებას საწარმოო საშუალებებზე, ამავე დროს კი საკუთრება საწარმოო საშუალებებზე რჩება კერძო — კაპიტალისტური, შეუთავსებელი წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათთან.

ეს შეურიგებელი წინააღმდეგობანი საწარმოო ძალთა ხასიათსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის თავს იჩენენ ჭარბი წარმოების პერიოდულ კრიზისებში, როცა კაპიტალისტები, მათ მიერვე მოსახლეობის მასის გაჩანაგების გამო, ვერ ჰპოულობენ რა გადახდისუნარიან მოთხოვნილებას, იძულებული ხდებიან დასწვან პროდუქტები, მოსპონ მზა საქონელი, შეაჩერონ წარმოება, დაანგრიონ საწარმოო ძალები, როცა მილიონობით მოსახლეობა იძულებულია განიცადოს უმუშევრობა და შიმშილი არა იმის გამო, რომ საკმაო საქონელი არ არის, არამედ იმის გამო, რომ მეტის-მეტად ბევრი საქონელია დამზადებული.

ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობანი აღარ შეესაბამებიან საზოგადოების საწარმოო ძალთა მდგომარეობას და მათთან შეურიგებელ წინააღმდეგობაში ჩავარდნენ.

ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი ფეხმძიმედაა რევოლუციით, რომელიც მოწოდებულია შესცვალოს საწარმოო საშუალებათა ახლანდელი კაპიტალისტური საკუთრება სოციალისტური საკუთრებით.

ეს იმას ნიშნავს, რომ უაღრესად მწვავე კლასობრივი ბრძოლა ექსპლუატატორებსა და ექსპლუატირებულებს შორის შეადგენს კაპიტალისტური წყობილების ძირითად ნიშანს.

სოციალისტური წყობილების დროს, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ სსრ კავშირშია განხორციელებული, საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. აქ უკვე აღარ არიან არც ექსპლუატატორები, არც ექსპლუატირებულნი. დამზადებული პროდუქტები ნაწილდება შრომის მიხედვით თანახმად პრინციპისა: „ვინც არ მუშაობს, ის არც სჭამს“. ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებანი წარმოების პროცესში აქ ხასიათდება, როგორც ექსპლუატაციისაგან თავისუფალი მუშაკების ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობანი. აქ საწარმოო ურთიერთობანი სავსებით შეესაბამებიან საწარმოო ძალთა მდგომარეობას, ვინაიდან წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი გამაგრებულია საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრებით.

ამიტომ სსრ კავშირში არსებული სოციალისტური წარმოებისათვის უცნობია ჭარბი წარმოების პერიოდული კრიზისები და მათთან დაკავშირებული უაზრობანი.

ამიტომ საწარმოო ძალები აქ დაჩქარებული ტემპით ვითარდებიან, რადგან მათი შესაბამისი საწარმოო ურთიერთობანი მათ სრულ გასაქანს აძლევენ ასეთი განვითარებისათვის.

ასეთია ადამიანების საწარმოო ურთიერთობათა განვითარების სურათი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე.

ასეთია საწარმოო ურთიერთობათა განვითარების დამოკიდებულება საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებისაგან, უწინარეს ყოვლისა — საწარმოო იარაღთა განვითარებისაგან, დამოკიდებულება, რომლის ძალითაც საწარმოო ძალთა ცვლილებანი და განვითარება ადრე თუ გვიან იწვევს საწარმოო ურთიერთობათა სათანადო ცვლილებებსა და განვითარებას.

„შრომის*) საშუალებათა გამოყენება და შექმნა, — ამბობს მარქსი, — თუმცა ჩანასახი ფორმით ისინი ზოგი გვარის ცხოველებსაც მოეპოვებათ, სპეციფიკურად ადამიანის შრომის პროცესის დამახასიათებელ მხარეს შეადგენენ, ამიტომაც ფრანკლინი ადამიანს განსაზღვრავს, როგორც იარაღის მკეთებელ ცხოველს. რა მნიშვნელობაც დარჩენილი ძვლების აგებულებას აქვს გამქრალ ცხოველთა ჯიშების შესასწავლად, ასეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს გამქრალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესასწავლად. ეკონომიური ეპოქები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა იმით, თუ რა იწარმოება, არამედ იმით, თუ როგორ იწარმოება... შრომის საშუალებები არა მარტო საზომია ადამიანის სამუშაო ძალის განვითარებისა, არამედ მაჩვენებელიცაა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, რომლებშიც შრომა სწარმოებს“ (**კ. მარქსი**, „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 121, გამოცემა 1935 წ.).

და შემდეგ:

ა) „საზოგადოებრივი ურთიერთობანი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი საწარმოო ძალებთან. იძენენ რა ახალ საწარმოო ძალებს, ადამიანები სცვლიან თავის წესს წარმოებისას, ხოლო წარმოების წესის, თავისი ცხოვრების უზრუნველყოფის წესის შეცვლასთან ერთად, — ისინი სცვლიან მთელ თავის საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ხელწისქვილი იძლევა საზოგადოებას, რომელსაც სათავეში უდგას სიუზერენი (ფეოდალი. — **რედ.**) ორთქლის წისქვილი — საზოგადოებას, რომელსაც სათავეში უდგას სამრეწველო კაპიტალისტი“. (**კ. მარქსი და ფ. ენგელსი**, ტ. V, გვ. 364).

ბ) „განუწყვეტლივ ხდება საწარმოო ძალთა ზრდის განვითარება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა დანგრევა, იდეების წარმოშობა, უძრავია მხოლოდ მოძრაობის აბსტრაქცია“. (იქვე, გვ. 364).

*) „შრომის საშუალებებად“ მარქსი უმთავრესად გულისხმობს საწარმოო საშუალებებს. **რედ.**

ახასიათებს რა ისტორიულ მატერიალიზმს, ჩამოყალიბებულს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, ენგელსი ამბობს:

„ყოველი ისტორიული ეპოქის ეკონომიური წარმოება და მისგან გარდუვალად გამომდინარე აგებულება საზოგადოებისა შეადგენენ ამ ეპოქის პოლიტიკური და გონებრივი ისტორიის საფუძველს... ამის შესაბამისად, პირველყოფილი სათემო მიწათმფლობელობის დაშლის დროიდან მთელი ისტორია იყო ისტორია კლასობრივი ბრძოლისა, ბრძოლისა ექსპლუატირებულთა და ექსპლუატატორთა, დამონებულთა და გაბატონებულ კლასებს შორის საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე... ახლა ამ ბრძოლამ ისეთ საფეხურს მიაღწია, როდესაც ექსპლუატირებული და დაჩაგრული კლასი (პროლეტარიატი) უკვე ვერ შესძლებს განთავისუფლდეს მისი ექსპლუატატორი და მჩაგვრელი კლასისაგან (ბურჟუაზიისაგან), თუ ამავე დროს მთელს საზოგადოებას სამუდამოდ არ გაანთავისუფლებს ექსპლუატაციისა, ჩაგვრისა და კლასობრივი ბრძოლისაგან...“ (ენგელსის წინასიტყვაობა „მანიფესტის“ გერმანული გამოცემისათვის).

წარმოების **მესამე თავისებურება** იმაში მდგომარეობს, რომ ახალ საწარმოო ძალთა და მათი შესაბამის საწარმოო ურთიერთობათა წარმოშობა ხდება არა ძველი წყობილებისაგან განცალკევებულად, არა ძველი წყობილების გაქრობის შემდეგ, არამედ ძველი წყობილების წიაღში, ხდება ადამიანთა არა წინასწარგანზრახული, შეგნებული საქმიანობის შედეგად, არამედ სტიქიურად, შეუგნებლად, ადამიანთა ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად. იგი სტიქიურად და ადამიანთა ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად ხდება ორი მიზეზით:

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ადამიანები თავისუფალნი არ არიან წარმოების ამათუიმ წესის არჩევაში, ვინაიდან თვითეული ახალი თაობა, იწყებს რა ცხოვრებას, უკვე ხვდება მზა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობებს, როგორც წინანდელ თაობათა მუშაობის შედეგს, რის გამოც იგი იძულებულია მიიღოს პირველ ხანებში ყოველივე ის, რასაც მზა სახით ჰპოულობს წარმოების დარგში, და შეეგუოს მას, რათა მიიღოს შესაძლებლობა შეჰქმნას მატერიალური დოვლათი.

მეორე, იმიტომ, რომ, აუმჯობესებენ რა წარმოების ამათუიმ იარაღს, საწარმოო ძალების ამათუიმ ელემენტს, ადამიანებს შეგნებული არა აქვთ, არ გაეგებათ და არ უფიქრდებიან იმას, თუ რა **საზოგადოებრივი** შედეგები უნდა მოჰყვეს ამ გაუმჯობესებებს, არამედ ჰფიქრობენ მხოლოდ თავის ყოველდღიურ ინტერესებზე, იმაზე, რომ შეიმსუბუქონ შრომა და მიაღწიონ რაიმე უშუალო, შესაგრძნობ სარგებლობას თავისთვის.

როცა პირველყოფილი თემური საზოგადოების ზოგიერთი წევრი თანდათან და ფათურით გადადიოდა ქვის იარაღებიდან რკინის იარაღებზე, მათ, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ და არ უფიქრდებოდნენ იმას, თუ რა **საზოგადოებრივი** შედეგები მოჰყვებოდა ამ სიახლეს, მათ არ ესმოდათ და შეგნებული არ ჰქონდათ ის, რომ ლითონის იარაღებზე გადასვლა მოასწავებდა გადატრიალებას წარმოებაში, რომ ამას ბოლოსდაბოლოს მოჰყვებოდა მონათმფლობელური წყობილება, — მათ მხოლოდ უნდოდათ გაეუმჯობესებინათ თავისი შრომა და მიეღწიათ უახლოესი, შესაგრძნობი სარგებლობისათვის, — მათი შეგნებული საქმიანობა ამ ყოველდღიური პირადი სარგებლობის ვიწრო ჩარჩოებით იფარგლებოდა.

როცა ფეოდალური წყობილების პერიოდში ევროპის ახალგაზრდა ბურჟუაზიამ წვრილი საამქრო სახელოსნოთა გვერდით იწყო მსხვილ მანუფაქტურულ საწარმოთა შენება და, ამრიგად, წინ სწევდა საზოგადოების საწარმოო ძალებს, მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა და არ უფიქრდებოდა იმას, თუ რა **საზოგადოებრივი** შედეგები მოჰყვებოდა ამ სიახლეს, მას შეგნებული არ ჰქონდა და არ ესმოდა, რომ ამ „პატარა“ სიახლეს მოჰყვებოდა საზოგადოებრივი ძალების ისეთი გადაჯგუფება, რომელიც უნდა დამთავრებულიყო რევოლუციით მეფის ხელისუფლების წინააღმდეგაც, რომლის წყალობასაც იგი ასე დიდად აფასებდა, და თავად-აზნაურთა წინააღმდეგაც, რომელთა რიგებში მოხვედრაზეც ხშირად ოცნებობდნენ მისი საუკეთესო წარმომადგენლები, — მას მხოლოდ უნდოდა გაეიაფებინა საქონლის წარმოება, რაც შეიძლება მეტი საქონელი გამოეშვა აზიისა და ახლად აღმოჩენილი ამერიკის ბაზრებზე და მიეღო რაც შეიძლება მეტი მოგება, — მისი შეგნებული საქმიანობა ამ ყოველდღიური პრაქტიკის ვიწრო ჩარჩოებით იფარგლებოდა.

როცა რუსი კაპიტალისტები უცხოელ კაპიტალისტებთან ერთად რუსეთში გაძლიერებით ნერგავდნენ თანამედროვე მსხვილ მანქანიზებულ მრეწველობას, ხოლო ცარიზმს ხელუხლებლად სტოვებდნენ და გლეხებს საჯიჯგნად ხელში უგდებდნენ მემამულეებს, მათ, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ და არ უფიქრდებოდნენ იმას, თუ რა **საზოგადოებრივი** შედეგები მოჰყვებოდა საწარმოო ძალთა ამ სერიოზულ ზრდას, მათ შეგნებული არ ჰქონდათ და არ ესმოდათ, რომ ამ სერიოზულ ნახტომს საზოგადოების საწარმოო ძალთა დარგში საზოგადოებრივი ძალების ისეთი გადაჯგუფება მოჰყვებოდა, რომელიც პროლეტარიატს შესაძლებლობას მისცემდა შემოეერთებინა გლეხობა და მოეხდინა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია, — მათ მხოლოდ უნდოდათ უკიდურესობამდე გაეფართოებინათ სამრეწველო წარმოება, დაუფლებოდნენ კოლოსალურ საშინაო ბაზრებს, გამხდარიყვნენ მონოპოლისტები და რაც შეიძლება მეტი მოგება ამოეწურათ სახალხო მეურნეობიდან, — მათი შეგნებული საქმიანობა მათს ყოველდღიურ ვიწრო-პრაქტიკულ ინტერესებს არ სცილდებოდა.

ამის შესაბამისად მარქსი ამბობს:

„თავისი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას (ესე იგი ადამიანების ცხოვრებისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის წარმოებისას.—**რედ.**) ადამიანები შედიან განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნება-სურვილისაგან **დამოუკიდებელ***) ურთიერთობებში—საწარმოო ურთიერთობებში, რომლებიც მათი მატერიალური საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამებიან“ (**კ. მარქსი.** რჩეული ნაწარმოებნი, ტ. I, გვ. 269).

მაგრამ, ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ საწარმოო ურთიერთობათა ცვლილებანი და ძველი საწარმოო ურთიერთობებიდან ახლებზე გადასვლა მიმდინარეობდეს უმტკივნეულოდ, უკონფლიქტებოდ, შერყევათა გამოუწვევლად. პირიქით, ასეთი გადასვლა ჩვეულებრივ ხდება ძველ საწარმოო ურთიერთობათა რევოლუციური დამხობისა და ახალ საწარმოო ურთიერთობათა დამკვიდრების გზით. განსაზღვრულ პერიოდამდე საწარმოო ძალთა განვითარება და ცვლილებანი საწარმოო ურთიერთობათა დარგში ხდება სტიქიურად, ადამიანთა ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ ეს მხოლოდ განსაზღვრულ მომენტამდე, იმ მომენტამდე, სანამ აღმოცენებული და განვითარების პროცესში მყოფი საწარმოო ძალები მოასწრებდნენ ჯეროვანად მომწიფებას. მას შემდეგ კი, რაც ახალი საწარმოო ძალები მომწიფდნენ, არსებული საწარმოო ურთიერთობანი და მათი მატარებელნი — გაბატონებული კლასები, იქცევიან იმ „გადაულახავ“ ზღუდედ, რომლის მოხსნაც გზიდან შეიძლება მხოლოდ ახალი კლასების შეგნებული საქმიანობის გზით, ამ კლასების ძალდატანებითი მოქმედების გზით, რევოლუციის გზით. აქ განსაკუთრებით ნათლად აშკარავდება **უდიდესი როლი** ახალი საზოგადოებრივი იდეებისა, ახალი პოლიტიკური დაწესებულებებისა, ახალი პოლიტიკური ხელისუფლებისა, რომელნიც მოწოდებულნი არიან ძალდატანებით გააუქმონ ძველი საწარმოო ურთიერთობანი. ახალ საწარმოო ძალებსა და ძველ საწარმოო ურთიერთობებს შორის კონფლიქტის საფუძველზე, საზოგადოების ახალ ეკონომიურ მოთხოვნილებათა საფუძველზე ჩნდება ახალი საზოგადოებრივი იდეები, ახალი იდეები აკავშირებენ და ამობილიზებენ მასებს, მასები ირაზმებიან ახალ პოლიტიკურ არმიად, ჰქმნიან ახალ რევოლუციურ ხელისუფლებას და იყენებს მას იმისთვის, რომ ძალდატანებით გააუქმონ ძველი წესები საწარმოო ურთიერთობათა დარგში და დაამკვიდრონ ახალი წესები. განვითარების სტიქიური პროცესი ადგილს უთმობს ადამიანთა შეგნებულ საქმიანობას, მშვიდობიანი განვითარება — ძალდატანებითს გადატრიალებას, ევოლუცია — რევოლუციას.

„პროლეტარიატი, — ამბობს მარქსი, — ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებლად ერთიანდება კლასად... რევოლუციის გზით იგი იქცევა გაბატონებულ კლასად და როგორც გაბატონებული კლასი ძალდატანებით სპობს ძველ საწარმოო ურთიერთობებს“ („მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“, გამოცემა 1938 წ., გვ. 52).

და შემდეგ:

ა) „პროლეტარიატი თავის პოლიტიკურ ბატონობას იმისათვის გამოიყენებს, რომ ბურჟუაზიას თანდათან წაართვას მთელი კაპიტალი, თავი მოუყაროს ყველა საწარმოო იარაღს სახელმწიფოს, ე. ი. გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატის ხელში, და რაც შეიძლება სწრაფად გაამრავლოს საწარმოო ძალების ჯამი“. (იქვე, გვ. 50).

ბ) „ძალდატანება წარმოადგენს ყოველი ძველი საზოგადოების ბებიაქალს, როცა ეს საზოგადოება ფეხმძიმედაა ახალით“ (**მარქსი.** „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 603, 1935 წ.).

*) კურსივი რედაქციისა

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა

პრაღის კონფერენციამ შეაჯამა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბოლშევიკთა მთელი წინანდელი ბრძოლის შედეგი და დაადგინა განდევნოს პარტიიდან მენშევიკები.

პრაღის კონფერენციამ, განდევნა რა პარტიიდან მენშევიკები, გააფორმა ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელი არსებობა.

იდეურად და ორგანიზაციულად გაანადგურეს რა მენშევიკები, განდევნეს რა ისინი პარტიიდან, ბოლშევიკებმა შეინარჩუნეს პარტიის—რსდმპ ძველი დროშა. ამიტომ ბოლშევიკთა პარტიას 1918 წლამდე კვლავ ეწოდებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რასაც ფრჩხილებში ემატებოდა „ბოლშევიკების".

1912 წლის დამდეგს ლენინი სწერდა გორკის პრაღის კონფერენციის შედეგების შესახებ:

„როგორც იქნა მოხერხდა — ლიკვიდატორ არამზადათა საწინააღმდეგოდ პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის აღდგენა: იმედი მაქვს თქვენც გაგახარებს ეს ჩვენთან ერთად" (ლენინი, [illegible]

[illegible] ნა ბოლშევიკური ორგანიზაციები მთელს ქვეყანაში ერთიან ბოლშევიკურ პარტიად" (საკ. კ. პ. (ბ) XV ყრილობის სტენ. ანგარიში, გვ. 361—362).

მენშევიკთა განდევნის და ბოლშევიკთა დამოუკიდებელ პარტიად გაფორმების შემდეგ ბოლშევიკთა პარტია გახდა უფრო მტკიცე და ძლიერი. **პარტია მტკიცე ხდება იმით, რომ სწმენდს თავის თავს ოპორტუნისტული ელემენტებისა-**გან — ამაშია ერთ-ერთი ლოზუნგი ბოლშევიკური პარტიისა, როგორც ახალი ტიპის პარტიისა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიებისაგან. II ინტერნაციონალის პარტიები, სიტყვით უწოდებდნენ რა თავის თავს მარქსისტებს, საქმით თავის წრეში ითმენდნენ მარქსიზმის მოწინააღმდეგეებს, აშკარა ოპორტუნისტებს და საშუალება მისცეს მათ გაეხრწნათ დაეღუპათ II ინტერნაციონალი. ბოლშევიკები, პირიქით, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ოპორტუნისტებთან, სწმენდდნენ პროლეტარულ პარტიას ოპორტუნიზმის სიბინძურისაგან და მიაღწიეს იმას, რომ შექმნეს ახალი ტიპის პარტია, ლენინური პარტია, პარტია, რომელმაც შემდეგ მოიპოვა პროლეტარიატის დიქტატურა.

ოპორტუნისტები რომ პროლეტარული პარტიის რიგებში დარჩენილიყვნენ, ბოლშევიკური პარტია ვერ შესძლებდა გამოსულიყო გზაზე და თან გაეყოლიებინა პროლეტარიატი, ვერ შესძლებდა აეღო ძალა- [illegible]

[illegible] ლიკა, 8 საათის სამუშაო დღე, მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაცია.

ამ რევოლუციური ლოზუნგებით ბოლშევიკები ატარებდნენ საარჩევნო კამპანიას IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს.

ამ ლოზუნგებით ხდებოდა მუშათა მასების რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობა 1912—1914 წლებში.

# მ ო კ ლ ე დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1908—1912 წლები უძნელესი პერიოდი იყო რევოლუციური მუშაობისათვის. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რევოლუციური მოძრაობის შენელების და მასების დაღლილობის პირობებში ბოლშევიკებმა შესცვალეს თავისი ტაქტიკა და ცარიზმის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლიდან გადავიდნენ ამ ბრძოლის შემოვლითს გზებზე. სტოლიპინის რეაქციის მძიმე პირობებში ბოლშევიკებმა გამოიყენეს თვით ოდნავი ლეგალური შესაძლებლობანი მასებთან კავშირის შესანარჩუნებლად (დაწყებული დამზღვევი კასებითა და პროფკავშირებით, და გათავებული სათათბიროს ტრიბუნით). ბოლშევიკები დაუღალავად აგროვებდნენ ძალებს რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის.

რევოლუციის დამარცხების, ოპოზიციურ მიმდინარეობათა დაშლის, რევოლუციის მიმართ იმედის გაცრუების და პარტიისაგან ჩამოშორებულ ინტელიგენტთა (ბოგდანოვი, ბაზაროვი და სხვ.) მხრივ პარტიის თეორიული საფუძვლების წინააღმდეგ რევიზიონისტული გამოსვლების გაძლიერების მძიმე ვითარებაში ბოლშევიკები ერთადერთი ძალა აღმოჩნდნენ პარტიაში, რომლებსაც არ დაუხრიათ პარტიული დროშა, შეინარჩუნეს ერთგულება პარტიის პროგრამისადმი და მოიგერიეს მარქსისტული თეორიის (ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი") „კრიტიკოსთა" იერიშები. იდეურმა მარქსისტულ-ლენინურმა გამობრძმედამ, რევოლუციის პერსპექტივების გაგებამ დახმარება გაუწიეს ბოლშევიკთა ძირითად ბირთვს, ლენინის გარშემო შემჭიდროებულს, დაეცვა პარტია და მისი რევოლუციური პრინციპები. „ჩვენ ტყუილად კი არ დაგვარქვეს სალკლდოვანები",—ამბობდა ლენინი ბოლშევიკების შესახებ.

მენშევიკები ამ პერიოდში სულ უფრო და უფრო შორდებიან რევოლუციას. ისინი ხდებიან ლიკვიდატორები, მოითხოვენ პროლეტარიატის არალეგალური რევოლუციური პარტიის ლიკვიდაციას, მოსპობას, სულ უფრო და უფრო აშკარად აცხადებენ უარს პარტიის პროგრამაზე, პარტიის რევოლუციურ ამოცანებსა და ლოზუნგებზე, ცდილობენ მოაწყონ თავისი, რეფორმისტული პარტია, რომელიც მუშებმა „სტოლიპინის მუშათა პარტიად" მონათლეს. ტროცკი მხარს უჭერს ლიკვიდატორებს, ფარისევლურად ეფარება რა „პარტიის ერთიანობის", სინამდვილეში — ლიკვიდატორებთან ერთიანობის ლოზუნგს.

მეორე მხრით, ბოლშევიკთა ნაწილი, რომელმაც ვერ გაიგო ცარიზმთან ბრძოლის ახალი, შემოვლითი გზებისაკენ მობრუნების საჭიროება, მოითხოვს ლეგალური შესაძლებლობათა გამოყენებაზე უარის თქმას, მოითხოვს მუშათა დეპუტატების გამოწვევას სახელმწიფო სათათბიროდან. ოტზოვისტები უბიძგებენ პარტიას მასებისაგან მოწყვეტისაკენ, ხელს უშლიან ძალების შეკრებას ახალი რევოლუციური აღმავლობისათვის. ეფარებიან რა „მემარცხენე" ფრაზებს, ოტზოვისტები არსებითად უარს ამბობენ რევოლუციურ ბრძოლაზე, ისევე, როგორც ლიკვიდატორები.

ლიკვიდატორები და ოტზოვისტები ერთიანდებიან ლენინის წინააღმდეგ საერთო ბლოკში, აგვისტოს ბლოკში, რომელიც ტროცკიმ მოაწყო.

ლიკვიდატორთა და ოტზოვისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აგვისტოს ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლშევიკები იმარჯვებენ და წარმატებით იცავენ არალეგალურ პროლეტარულ პარტიას.

ამ პერიოდის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს რსდმპ პრაღის კონფერენცია (1912 წლის იანვარი). ამ კონფერენციაზე პარტიიდან იქნენ განდევნილი მენშევიკები, სამუდამოდ მოეღო ბოლო მენშევიკებთან ერთ პარტიაში ბოლშევიკთა ფორმალურ გაერთიანებას. პოლიტიკური ჯგუფიდან ბოლშევიკები გაფორმდნენ რუსეთის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად (ბოლშევიკების). პრაღის კონფერენციამ საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის პარტიას, ლენინიზმის პარტიას, ბოლშევიკურ პარტიას.

პროლეტარული პარტიის გაწმენდას ოპორტუნისტებისაგან, მენშევიკებისაგან, რაც პრაღის კონფერენციამ განახორციელა, დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისა და რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის. ბოლშევიკებს რომ პარტიიდან არ განედევნათ მუშათა კლასის მოღალატეები, შეთანხმებელი მენშევიკები, პროლეტარული პარტია ვერ შესძლებდა 1917 წელს მასების ამოძრავებას პროლეტარიატის დიქტატურის მოსაპოვებლად.

## ალექსი სტახანოვის მიმართვა ყველა მოსწავლისა და პიონერისადმი

**მოსკოვი,** 19 სექტემბერი (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორესპ.). ალექსი სტახანოვმა საბჭოთა კავშირის ყველა მოსწავლეს მიმართა წერილით, რომელიც მიძღვნილია საკ. ალკკ-ის 20 წლისთავის გამო პიონერებსა და მოსწავლეებს შორის გამოცხადებული შეჯიბრებისადმი. ამ წერილში სტახანოვი სწერს:

„თქვენთვის მრავალჯერ უთქვამთ, ბავშვებო, და მეც ერთხელ კიდევ გიმეორებთ, რომ ისე ვერაფრით ვერ გაგვახარებთ მოზრდილებს, მთელ ჩვენს ქვეყანას, როგორც თქვენი კარგი და საუკეთესო ნიშნებით. იმაზე, თუ როგორ ამოხსნის მოსწავლე დღეს რომელიმე ორუცნობიან განტოლებას ან როგორ ითვისებს ფიზიკის კანონებს, დიდად არის დამოკიდებული ის, თუ როგორი ინჟინერი, მფრინავი, მასწავლებელი ან მუშა იქნება იგი რამდენიმე წლის შემდეგ. ჩვენ გვჭირდება კარგი სპეციალისტები, კარგი, მცოდნე მუშები. ისწავლეთ დღეს რაც შეიძლება კარგად, ბავშვებო. თქვენ იცით იმ ადამიანის სახელი, რომლის მიერ შექება ყოველივე ჩვენგანისათვის ყველაფერზე უძვირფასესია: დაე, ბავშვებო, თქვენ შეგაქოთ სტალინმა".

## ამხ. გორევის თვითმფრინავი ხაბაროვსკში მიფრინდა

**ხაბაროვსკი,** 17 სექტემბერი (საკდესი). დღეს, 15 საათსა და 40 წუთზე ადგილობრივი დროით, სიჩქარის საფოსტო თვითმფრინავი „პს-40", რომელსაც მართავს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავი ამხ. გორევი, ხაბაროვსკის აეროდრომზე დაეშვა.

თვითმფრინავმა მოიტანა 12 ათასი ცალი „პრავდა" საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსით.

## ჩეხოსლოვაკიის ამბების გამო

**პრაღა,** 17 სექტემბერი (საკდესი). ჩეხიის 63 ოლქში მცხოვრებ მოქალაქეთაგან იარაღის ჩამორთმევის პირველმა დღემ ყოველგვარი ინციდენტის გარეშე ჩაიარა. ჰენლაინისა და მისი „შტაბის" ფაშისტურ გერმანიაში გაქცევით აღშფოთებული მრავალი ჰენლაინელი ჯარისკაცი იარაღს პოლიციის ხელისუფალთ აბარებს. იარაღის ჩამორთმევის მსვლელობაში აღმოჩენილია საომარი მასალების მრავალი ახალი საწყობი. უმრავლეს შემთხვევაში საწყობები შენიღბულნი არიან. ქალაქ ველკა-უპაში დატუსაღებულია ჰენლაინელთა პარტიის 7 ფუნქციონერი, რომელნიც გერმანიიდან იარაღის კონტრაბანდას ეწეოდნენ. დატუსაღებულთა შორის არის ქალაქის მერის მოადგილე—ჰენლაინელი.

ორშაბათს, 19 სექტემბერს შესდგა მუდმივი საპარლამენტო კომისიის პირველი სხდომა (ეს კომისია მუშაობს სესიებს შორის და შესდგება საპარლამენტო დიდი ფრაქციების 16 დეპუტატისაგან და 8 სენატორისაგან; კომისიას თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე მალიპეტრი). დღის წესრიგშია ორი სა- [illegible] პარტიის დეპუტატთაგან მანდატების ჩამორთმევის შესახებ.

ხვალ დღის 12 საათზე ჩეხოსლოვაკიის მთავრობის პრემიერ მინისტრი გოჯა რადიოთი გააკეთებს მოხსენებას რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ამჟამად მოვიდა ცნობები იმის შესახებ, რომ გერმანიამ გადასწყვიტა დიდი ეკონომიური ზეგავლენა მოახდინოს ჩეხოსლოვაკიაზე. სანაოსნო საზოგადოებათა კარტელმა, რომელიც მდინარე ელბაზე მუშაობს, გამოიტანა გადაწყვეტილება დახუროს მდინარეზე მიმოსვლა გერმანიიდან ჩეხოსლოვაკიაში. ეს ღონისძიება უეჭველია ლახვარს ჩასცემს ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო ურთიერთობას მსოფლიოსთან, ვინაიდან ჩეხოსლოვაკიის ტვირთთა უდიდესი ნაწილი ამ წყლის გზით მიდის ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებსა და ინგლისში.

საქმესთან გაცნობილ წყაროებიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბონემ დღეს განუცხადა ჩეხოსლოვაკიის ელჩს ოსუსკის, რომ საფრანგეთის [illegible]

## მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიის სანაპირო რაიონებში

**პარიზი,** 18 სექტემბერი (საკდესი). „სე სუარს" პრაღიდან მიღებულ დეპეშაში მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ჰიტლერის პარტიის მომხრეთა რიგებში დაწყებული რღვევის შესახებ, რაც, ალბათ, ამ პარტიის მეთაურთა უკანასკნელი განცხადებებით და მოთხოვნებით არის გამოწვეული. გაზეთის კორესპონდენტი სწერს: „მე დღეს ბოჰემიის სამხრეთ-დასავლეთის ოლქის მეტი ნაწილი მოვიარე, სადაც უკანასკნელ ხანს ადგილი ჰქონდა ჰენლაინელთა ჩაშლილ პუტჩთან დაკავშირებულ ამბებს. მთელს ოლქში სიწყნარეა. ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს.

ქალაქებსა და სოფლებში რესპუბლიკის ხელისუფლებას მრავალი განცხადება მოსდის აქტივისტ ჰენლაინელთა მხრივ ლოიალობის შესახებ. მთელ რიგ პუნქტებში ჰენლაინელთა მუნიციპალურმა მრჩეველებმა უარი განაცხადეს გაჰყოლოდნენ ჰენლაინს და რესპუბლიკის ხელისუფლებას დაჰპირდნენ.

სანაპირო რაიონებში აგრეთვე სრული წესრიგია.

გერმანიის სოფლებსა და ქალაქებში, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის საზღვართან მდებარეობენ, გუშინდელი დღიდან მიმდინარეობს ეგრეთწოდებული „სუდეტელ გერმანელთა კორპუსის" ერთეულების კონცენტრაცია. როგორც სჩანს, აქედან არის მოსალოდნელი პროვოკაციული თავდასხმა ჩეხოსლოვაკიაზე. „სუდეტელ გერმანელთა კორპუსის" ერთეულებს გერმანელი ოფიცრები მეთაურობენ და ეს ერთეულები ნაწილობრივ გერმანელი მოიერიშეებისაგან შესდგება. ყველა ნაწილი შეიარაღებულია გერმანული იარაღით.

## ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მოთხოვნა

**ლონდონი,** 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ თავისი ლონდონელი ელჩის მასარიკის საშუალებით წერილით მიმართა ლონდონში მოლაპარაკების მწარმოებელ ინგლისისა და საფრანგეთის მინისტრებს. ჩეხოსლოვაკიის მთავრობა თავის წერილში გამოხატავს რწმენას, რომ ამა თუ იმ გადაწყვეტილების გამოტანის წინ ინგლისისა და საფრანგეთის მინისტრები სათანადო რჩევისათვის მიჰმართავენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობას. „წინააღმდეგ შემთხვევაში, — ნათქვამია შემდეგ წერილში,—ჩეხოსლოვაკიის მთავრობას არ შეუძლია რაიმე პასუხისმგებლობა იკისროს ამა თუ იმ გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მიღებული იქნება ინგლისისა და საფრანგეთის მინისტრების მოლაპარაკების დროს".

## გერმანიაში ჩამოყალიბებულია ჰენლაინელთა კორპუსი

**ლონდონი,** 18 სექტემბერი (საკდესი). ბერლინიდან მიღებული ცნობების თანახმად, ჰენლაინმა გამოაქვეყნა ბრძანება პუტჩის ჩაქრობის შემდეგ გერმანიაში გაქცეულ და გერმანიაში მყოფ ჰენლაინელებისაგან კორპუსის შედგენის შესახებ და წინადადება მისცა ამ კორპუსის ნაწილებს დაიკავონ პოზიციები ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე. რეიტერის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტის ცნობით, 17 სექტემბერს ბერლინში ჩასულმა სხზეკოვსკიმ განაცხადა, რომ „სუდეტელ-გერმანელთა კორპუსი" სრულიად მზად იქნება სამხრად და შეიჭრება ჩეხოსლოვაკიაში, როდესაც ეს აუცილებელ საჭიროდ იქნება ცნობილი. სააგენტო ხაზს უსვამს იმას, რომ „სუდეტელ გერმანელთა კორპუსი" ამჟამად, აშკარად რეგულარულ სამხედრო ნაწილს წარმოადგენს გერმანიის ტერიტორიაზე".

## უკმაყოფილების ზრდა გერმანიის არმიის ჯარისკაცთა შორის

**პრაღა,** 17 სექტემბერი (საკდესი). უკმაყოფილების ზრდას გერმანიის არმიის ჯარისკაცთა შორის ომის გააფთრებულ მზადებასთან დაკავშირებით აშკარად ნათელჰყოფენ მთელი რიგი ფაქტები. ამ დღეებში ქალაქ კამის (ვესტფალია) ყაზარმაში დააპატიმრეს ორი ჯარისკაცი, რომელთაც აზრი გამოსთქვეს ჩეხოსლოვაკიაზე იმ სამხედრო თავდასხმის წინააღმდეგ, რასაც ჰიტლერი ამზადებს.

რადგან ჯარისკაცები აშკარად გამოსთქვამენ თავის სოლიდარობას დაპატიმრებულებისადმი, ამიტომ მთელს ჯარის ერთეულს აკრძალული აქვს მთელი თვის განმავლობაში ისარგებლონ ქალაქში გაშვებით.

ნიურნბერგში ჰიტლერელთა „ყრილობაზე" ჰიტლერის გამგზავრების ერთი დღით ადრე დაპატიმრებულ იქნა სამი ჯარისკაცი ჰიტლერის პირად მცველთაგან.

## ბარსელონის ახალი გააფთრებული ბომბარდირება

**პარიზი,** 17 სექტემბერი (საკდესი). ფაშისტურმა ავიაციამ კვლავ მოახდინა ბარსელონის სამოქალაქო მოსახლეობის გააფთრებული ბომბარდირება.

16 სექტემბერს, დილით, ფაშისტთა 15 ორმოტორიანმა თვითმფრინავმა, რომლებიც დიდ სიმაღლეზე დაფრინავდნენ, ბარსელონაში ჩამოჰყარეს დაახლოებით 100 ყუმბარა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც ბარსელონის ხალხმრავალ ბაზარში და ნავსადგურის რაიონში ჩაცვივდა. მოქალაქეთა შორის მოკლულია 31 და დაჭრილია 124 კაცი—მეტ წილად ქალები. ბომბარდირებისაგან ქალაქის ბევრი შენობა დაზიანდა; დაზიანებულია აგრეთვე ინგლისის 2 გემი, რომლებიც ნავსადგურში იდგნენ.

## ნეგრინი ჟენევაში ჩავიდა

**ჟენევა,** 17 სექტემბერი (საკდესი). დღეს ჟენევაში ჩამოვიდა ესპანეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნეგრინი.

## ჩან კაი-შის მიმართვა მანჯურიის ჩინელი მოსახლეობისადმი

**ლონდონი,** 18 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ხანკოუელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მანჯურიაში იაპონელების შეჭრის მე-7 წლისთავის გამო ჩან კაი-შიმ მოწოდებით მიმართა მანჯურიის ჩინელ მოსახლეობას. „ამჟამად,—ნათქვამია მოწოდებაში,—იაპონიის რესურსები ძლიერ გამოლეულია. დადგა დრო, როდესაც თქვენ უკვე აღარ უნდა დაკმაყოფილდეთ მარტო თავდასხმებით იაპონიის ამუნიციის საწყობებსა, აეროდრომებსა და რკინიგზებზე. თქვენ უნდა გააფართოოთ იაპონელების წინააღმდეგ თქვენი ოპერაციები საკუთარი ინტერესების, ჩინეთის თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში".



17 სექტემბერს ვოროშილოვის სახ. კლუბში გაიხსნა სიმღერისა და ცეკვის თბილისის კიროვის რაიონის რაიონული ოლიმპიადა.
სურათზე: 26 კომისრის სახ. ფეხსაცმლის არტელის მუშები ლ. ხაჩატუროვა და ბ. ცუცუნაშვილი ასრულებენ ოსურ ცეკვას.
ფოტო ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს" სა ქ. განყ.)

## ხალხური სიმღერისა და ცეკვის სრულიად-საქართველოს ოლიმპიადა

[illegible] ხალხური სიმღერისა და ცეკვის ოლიმპიადები ჩვენში ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცნენ. მათ გამოამჟღავნეს ჩვენი ქვეყნის ხალხის ახალგაზრდა ნიჭიერი ძალების ზრდა. მათი ოსტატობის დემონსტრაცია მაჩვენებელია იმის, თუ როგორი წარმატებით იზრდება ხალხური შემოქმედება და ხელოვნება ჩვენში.

ხალხური სიმღერისა და ცეკვის სრულიად-საქართველოს ოლიმპიადას წინ უსწრებდა რაიონული ოლიმპიადები. მათ გვიჩვენეს, თუ რაოდენ საამური და ლაღია ჩვენი ხალხის ცხოვრება სტალინურ ეპოქაში. ოლიმპიადებზე მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოვიდნენ ეთნოგრაფიული და საკოლმეურნეო გუნდები და ცალკეული მომღერლები. ისინი უმღერდნენ ხალხთა დიდ ბელადს—ამხანაგ სტალინს, ჩვე- [illegible] თესო შეფასება მიიღო. დღეს ისინი თბილისში შეიკრიბნენ.

ხალხური სიმღერისა და ცეკვის სრულიად-საქართველოს ოლიმპიადა გვიჩვენებს, თუ როგორ მდიდრდება ხალხური ანსამბლების რეპერტუარი, თუ რა ჰანგებით მღერის ბედნიერი ქვეყნის ხალხი, თუ რა უსაზღვრო სიყვარულია ჩაქსოვილი ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოსადმი, ხალხთა ბრძენი ბელადისადმი, წითელი არმიისადმი მიძღვნილ ხალხურ სიმღერებში, თუ რა შესანიშნავად იზრდება და იფურჩქნება ხალხური შემოქმედება და ამ შემოქმედების ოსტატობა.

მხურვალე სალამი სრულიად-საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის მე-5 ოლიმპიადის მონაწილეთ!

## ყინულმჭრელ „ი. სტალინის" რეისი

(ყინულმჭრელ „ი. სტალინის" გემბანი. რადიოთი ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

შუადღისას, მოსკოვის დროით, ყინულმჭრელები „ი. სტალინი" და „ერმაკი" საყვირებით გამოეთხოვნენ ერთმანეთს და დაშორდნენ. ყინულმჭრელი „ი. სტალინი" გაემართა აღმოსავლეთისაკენ გემ „მოსსოვეტის" შესახვედრად, რომელიც გადმოგვცემს ქვანახშირის მარაგს. ამის შემდეგ ყინულმჭრელი „სტალინი" გაემართება პოლარულ ბასეინში მოდრეიფე „სედოვის" გასანთავისუფლებლად ყინულებისაგან. ღია ზღვაში გასვლის შემდეგ გემზე შესდგა ეკიპაჟის საერთო კრება. კრებაზე გამოვიდნენ კაპიტანი ვორონინი და კაპიტანის თანაშემწე პოლიტდარგში ლაპინსკი, რომლებიც მოუწოდებდნენ კომანდას შრომითი რეისის სტახანოვურად ჩატარებისათვის.

ლაპტევთა ზღვის ყინულებში, როდესაც ჩვენს ყინულმჭრელზე გემ „მოსსოვეტიდან" ქვანახშირს ტვირთავდნენ, გემის ქიმს მოუახლოვდა პოლარული მხარის ბატონპატრონი—თეთრი დათვი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ეკიპაჟი გემბანზე იყო, დათვი სრულიად თავისუფლად ხტებოდა ყინულიდან ყინულზე და იჭერდა მისთვის გადაგდებულ გემრიელ ლუკმებს. ის დარწმუნებული იყო და არც სცდებოდა, რომ მას ხელს არავინ ახლებს. ასეთია ჩრდილოეთის საზღვაო გზის სამმართველოს უფროსის ბრძანება, რომლის მიხედვით აკრძალულია თეთრი დათვების მოკვლა. მას მხოლოდ ფოტო და კინოაპარატებს უმიზნებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა მეორე, უფრო დიდი დათვი. გემის მთელი ეკიპაჟი დიდი სიამოვნებით ადევნებდა თვალს იშვიათ ცხოველებს ბუნებრივ პირობებში. მეორე დღეს უფროსმა შტურმანმა მაკაროვმა მოჰკლა დიდი ლომთევზი, რომელიც აგრეთვე დაინტერესდა ჩვენი ყინულმჭრელით. ტყავი და ეშვები ამოიტანეს ყინულმჭრელზე, ხოლო ყინულზე დარჩენილ ლეშს დათვი დაეპატრონა.

გ. თვალაძე

## ინგლისის კომპარტიის მე-15 ყრილობა

**ლონდონი,** 17 სექტემბერი (საკდესი). 16 სექტემბერს ბირმინჰამში გაიხსნა ინგლისის კომპარტიის მე-15 ყრილობა. ყრილობაზე დელეგატთა შორის არის ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ინგლისის კომპარტია უკანასკნელი წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ გაიზარდა.

### უკანასკნელი ცნობები

## კომუნიკე ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების შესახებ

**ლონდონი,** 19 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ ღამით გვიან გამოქვეყნებულ იქნა ოფიციალური კომუნიკე ინგლისისა და საფრანგეთის მინისტრების თათბირის შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ხანგრძლივი განხილვის შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა წარმომადგენლები სრულ შეთანხმებამდე მივიდნენ ჩეხოსლოვაკიის საკითხის გადაჭრის წესის შესახებ. ორივე მთავრობის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ მომავალში შესაძლებელი იქნება გაგრძელდეს ღონისძიებათა განხილვა პრობლემების საერთო მოწესრიგების ხაზით ევროპაში მშვიდობიანობის შენარჩუნების ინტერესებისათვის. მოლაპარაკების შესახებ დაწვრილებით არაფერს იტყობინებიან.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს დილით ადრე საფრანგეთის მინისტრები დალადიე და ბონე პარიზს გაფრინდნენ.

## ფეხბურთი

### თბილისი — კიევი

18 სექტემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე შესდგა საკავშირო პირველობის გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. თამაშობდნენ თბილისისა და კიევის „დინამოს" ოსტატთა გუნდები.

მიუხედავად ფეხბურთისათვის არახელსაყრელი ამინდისა (ძლიერი ქარი და წვიმა), სტადიონზე თავი მოიყარა 40 ათასზე მეტმა მაყურებელმა.

თამაში დაიწყო თბილისელების ენერგიული შეტევით. პირველსავე წუთებში მათ საფრთხე შეუქმნეს სტუმრების კარს, მაგრამ არაზუსტი დარტყმის შედეგად ანგარიშის გახსნა ვერ შესძლეს.

ტაიმის შუა წუთებში კიეველები დაჯარიმდნენ პენალტით, მ. ბერძენიშვილმა პირველი ბურთი მოაქცია „მოწინააღმდეგის" ბადეში.

პირველ მარცხს კიეველებმა უპასუხეს სწრაფი და კოლექტიური კონტრშეტევით, რამაც შედეგი გამოიღო, მე-5 წუთზე მათ შესძლეს ანგარიშის გაქვითება. 10 წუთის შემდეგ თბილისელები დაჯარიმდნენ პენალტით და მათს ბადეში მეორედ მოექცა ბურთი. პირველი ტაიმი დამთავრდა 2:1 სტუმრების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი დაიწყო თბილისელების დამარბეველი შეტევით. ჯეჯელავა, პაიჭაძე და გავაშელი მოულოდნელი გარღვევებით არ ასვენებენ სტუმრების დაცვას. მათს აქტივობას დიდ დახმარებას უწევდა დაცვა და ნახევარ-დაცვაც, მაგრამ ბურთის გატანა მაინც დიდხანს ვერ მოხერხდა.

თითქოს მარცხდებიან თბილისელები, [illegible]

## პარტკალენდარი

### ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

20 სექტემბერს:

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — ლექცია თემაზე: ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში (1883—1901 წლები) ქართულ ენაზე, ლექტორი—ამხ. ს. მოისწრაფიშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**საერთაშორისო მდგომარეობის კაბინეტი**—კონსულტაცია თემაზე: ჩინეთში იაპონიის იმპერიალიზმის შეჭრის ისტორია. რუსულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. ჟორჟიკაშვილი, დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გარდა ამისა, შესდგება მოხსენება თემაზე: ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის 20 წლისთავი. მომხსენებელი ქართულ ენაზე ამხ. ლ. გეგეშიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

20 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიპარტაქტივისათვის შესდგება ამხ. ციმაკურიძის მოხსენება რუსულ ენაზე; თემა: სსრ კავშირის 1938 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

20 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის მილიციის მეორე სკოლის კლუბში (სამოქალაქო ქუჩა, № 1) შესდგება საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიპარტაქტივის კრება, მოხსენებას „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლის შესახებ წაიკითხავს ამხ. ლუდვიგოვი.

შესვლა შესაშვები ბარათებით.

## ქვანახშირი და მარგანეცი

17 სექტემბრისათვის

(ტ ო ნ ო ბ ი თ)

| | გეგმა | გამოღებულია | %% |
|---|---|---|---|
| ტყიბული | 845 | 676 | 79.3 |
| ტყვარჩელი | 667 | 524 | 76.8 |
| ჭიათურა | 5305 | 4204 | 79.2 |

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი.


ს ა ხ ო პ ე რ ა

21 სექტემბრიდან დაიწყება

მუდმივი ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ბილეთების გაცემა.

ბილეთები მიეცემა მათ, ვისაც შემოტანილი აქვს ერთი გადასახდელი. ბილეთების მიმღებს უნდა ჰქონდეს მინდობილობის ბარათი ხელშეკრულების ნომრის აღნიშვნით.

გაცემა სწარმოებს ყოველდღე 12—5 საათამდე. 4—1

საქფილარმონიის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

20—21 სექტემბერს მე-2 სერიის ტალონები № 12, 13
უსსრ სახელმწიფო თეატრალიზებული
ქ ა ლ თ ა საგუნდო ანსამბლი
(1936 წელს მოსკოვში ჩატარებული უკრაინის მუსიკისა და სიმღერის დეკადის მონაწილენი)
ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 9 ს. და 30 წ.

22—23—24 სექტემბერს მე-2 სერიის ტალონები № 14, 15, 16
თამარ წერეთლის ძველი ბოშური რომანსისა და ხაზანაკო სიმღერის საღამოები
დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.

25—26—27 სექტემბერს მე-2 სერიის ტალონები № 17, 18, 19
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი ლიუბოვ ორლოვა
კინოფილმების „ცირკის", „მხიარული ახალგაზრდების", „ვოლგა-ვოლგას" გმირი.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. დასაწყ. საღ. 9 ს. 30 წ.

ღია ესტრადა 20—21—22—23—24 სექტემბერს
სიმღერისა და ცეკვის სრულიად-საქართველოს მე-5 რესპუბლიკური ოლიმპიადის მონაწილეთა საღამოები
შესვლა ღია ესტრადაზე ბაღის შესასვლელი ბილეთებით
მუდმივი ადგილების გამოუყენებელი ტალონები ვარგა მხოლოდ 20 სექტემბრამდე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი
1938-39 წლის სეზონი

| | |
|---|---|
| 20/IX | წარმოდგენა 5 ნაპერწკლიდან |
| 21/IX | წარმოდგენა 6 ნაპერწკლიდან |
| 22/IX | წარმოდგენა 7 ს უ ლ ე ლ ი |

სალარო ღიაა დღის 12 ს. საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ე ქ ი მ ი
მ ძ ი ნ ა რ ი შ ვ ი ლ ი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტე, (ელექტრონით მკურნალობა), ქალთა და ბავშვთა გონორეია.
ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალებისა და ბავშვებისა საღ. 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20, მე-4 შესავალი. მე-2 სართული. ბინა № 38.
19045

სახმედგამის სავაჭრო განყოფილებას
აქვს გასასყიდად სამედიცინო სახელმძღვანელოები საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის მედიცინის ყველა დისციპლინაში—ქართულ და რუსულ ენებზე.
სხვაქალაქელი დაკვეთები სრულდება დაუყოვნებლივ.
შეკვეთა გამოგზავნეთ: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 26.
1787


მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, პ. მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—83, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—1476